ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4638756

ნომერი: AR1676949

თარიღი : 24.04.2019

გაცემის თარიღი : 19.08.2019

გაცნობის თარიღი : 19.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- უმაღლესი სასწავლებლები
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2343315
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 14.12.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რევაზ ქეშელაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დემარკი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205196759

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს საქართველოს უნივერსიტეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205037137
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მანანა სანაძე, გიული ალასანია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026006411, 01024003240

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 9273.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2266.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 10648.2
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 227.3
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2158.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1778.9
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 159.7
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 2637.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 416.9
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 583.1
- .სპორტული მოედნის ფართობი (კვ.მ).: 313.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 39960.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 31706.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8254.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.31
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.51
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 8713.4კვ.მ
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .სასწავლო აუდიტორიის ფართობი (კვ.მ): 2374.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 24 აპრილის №AR1676949 განცხადებით მომართა შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ წარმომადგენელმა ვლადიმერ აბრამიშვილმა და ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №77 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.198) სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულების უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოითხოვა. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის ხორციელდება მიწის ნაკვეთზე არსებული სპორტული მოედნების დემონტაჟი. „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სპორტული ბაზის ფუნქციის შეცვლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან შეუთანხმებლად, ხოლო, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია სპორტული ობიექტების ლიკვიდაცია ან პროფილის შეცვლა სანაცვლო ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა წერილობით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოზიციის დაფიქსირებისათვის. სამინისტრომ 27/06/2019 წლის MES 8 19 00863219 წერილით სამსახურს აცნობა, რომ „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე

მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არ მიაჩნია შესაძლებლად სპორტული მოედნების დემონტაჟი სანაცვლო, ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 05/07/2019 № 4577261 გადაწყვეტილებით განმცხადებელს დაევალა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის წარმოედგინა, რომლითაც ასევე დადასტურდებოდა სპორტული მოედნების დემონტაჟი სანაცვლო, ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ფაქტი. განმცხადებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მომხდარა. ამასთან, სამსახურს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა 17/07/2019 წლის №19-01191982022 წერილით აცნობა, რომ საქალაქო სამსახური წინააღმდეგია კოსტავას ქუჩა №77 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.198) განთავსებული სპორტული მოედნების დემონტაჟის და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი შენარჩუნება არსებული ფუნქციის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს კოსტავას ქუჩა №77 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.198) განთავსებული სპორტული მოედნების დემონტაჟის დემონტაჟის ნებართვა და შესაბამისად, დააკმაყოფილოს 24/04/2019 წლის AR1676949 განაცხადი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.